ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4411891

ნომერი: AR1662559

თარიღი : 18.02.2019

გაცემის თარიღი : 13.03.2019

გაცნობის თარიღი : 13.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კოღუაშვილი პ/ნ 35001018649
- რუსთავი 9 მმა ხერხეულიძის ქ. კორ. 2 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 18 თებერვალს №AR1662559 განცხადებით მომართა გიორგი კოღუაშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა ამავე

სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ (ს/კ: № 01.72.14.034.968) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 12 დეკემბრიდან 2020 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: სასტუმროს ნომრების ფართობად 1443.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1443.00 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 921.6 კვ.მ-ის ნაცვლად 929.6 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 589.6 კვ.მ-ის ნაცვლად 595.6 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 158.5 კვ.მ-ის ნაცვლად 153.7 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 664.3 კვ.მ-ის ნაცვლად 658.0 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1070.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1178.7 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 7370.1 კვ.მ-ის ნაცვლად 7481,1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი 7481.1 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობი 1443.00 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 929.6 კვ.მ, კომერციული ფართობი 629.7 კვ.მ, საოფისე ფართობი 595.6 კვ.მ, დამხმარე ფართობი 153.7 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 658.0 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1178.7 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანებით შეთანხმებული -3.00, +3.60, +26.00 და +32.40 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 18 თებერვალს №AR1662559 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის №4301629 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.